Environment and Society, N4, July, 2022, pp. 48-82

What makes political party success in Georgia? Finances, Ideology and Organizational Structure

ნიკა გიგაური - პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი; ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ელ.ფოსტა: n.gigauri@gipa.ge

ABSTRACT

In Georgia, the issue of financing political parties from the state budget has always been a subject of discussion. Since 2008, the funding of parties from the state budget has increased, the last changes in this regard were implemented in July 2020, despite a number of changes made in the aforementioned law, the idea of state funding remained unchanged during the research period.The aim of the article is to determine the type of correlation between the Diversification of finances of parties, their idelogy platforms and organization strucutre based on the example of the 2008-2020 parliamentary elections.

This study is based on the resource dependency theory. According to this theory, since state funding is increasingly available to political parties in democratic countries, parties become more and more dependent on public finances, they become focused on maintaining said funding, which creates new challenges in party politics. The article uses qualitative research methods to answer research questions, namely, secondary data analysis, document analysis, and a comparison method that compares the institutional capacities of financially dependent and independent political parties in the study. The study includes a survey of experts, which in turn facilitated an in-depth study of the topic.

The introduction discusses the aims and objectives of the research, as well as the design and methodological foundations of the research. The first chapter of the paper reviews literature on the theoretical framework, such as the role of State funding in Electrical advantage of Parties. Chapters two and three include an overview of empirical data and key research findings. The

conclusion of the paper presents the findings of the research. also The article discusse the impact of ideological platforms of Georgian political parties on their financial income and electoral success.

Keywords: Party ideology, Party finances, Party organization, Electoral success, Georgia;

რა განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების წარმატებას თანამედროვე საქართველოში ?

ფინანსები, იდეოლოგია და ორგანიზაციული სტრუქტურა

აბსტრაქტი:

საქართველოში პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი მუდამ დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. 2008 წლიდან გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსება, ამ მხრივ ბოლო ცვლილებები 2020 წლის ივლისში განხორციელდა (გამარტივდა საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება), მიუხედავად აღნიშნულ კანონში შეტანილი არაერთი ცვლილებისა, საკვლევ პერიოდში სახელმწიფო დაფინანსების იდეა უცვლელი დარჩა. მოცემული ნაშრომის მიზანია 2008-2020 წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების ელექტორალური წარმატების მიღწევის ფაქტორები და განსაზღვროს პარტიების ფინანსების დივერსიფიკაციის, მათი იდეოლოგიური პლატფორმებისა და ორგანიზაციულ სტრუქტურის მნიშვნელობა საარჩევნო წარმატების მიღწევის პროცესში.

აღნიშნული კვლევა ემყარება რესურსებზე დამოკიდებულების თეორიას. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რადგან სახელმწიფო დაფინანსება დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიებისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომია, პარტიები უფრო და უფრო დამოკიდებულები ხდებიან საჯარო ფინანსებზე, ისინი ორიენტირებული ხდებიან აღნიშნული დაფინანსების შენარჩუნებაზე, რაც პარტიულ პოლიტიკაში ახალ გამოწვევებს წარმოშობს. საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ მონაცემთა მეორეული ანალიზი, დოკუმენტების ანალიზი და შედარების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც კვლევაში

ერთმანეთს შედარებულია სახელმწიფოზე ფინანსურად დამოკიდებული და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური შესაძლებლობები, ასევე კვლევა ემყარება თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ ტექნიკას - ექსპერტთა გამოკითხვას, აღნიშნულმა კი თემის სიღრმისეულად შესწავლას შეუწყო ხელი.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური იდეოლოგიები, პარტიული ფინანსები, საარჩევნო წარმატება, პარტიული ორგანიზაცია, საქართველო;

შესავალი

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (Sartori, 2015). როგორც ცნობილია, საქართველოში ეტაპობრივად მყარდება საპარლამენტო მმართველობა და 2024 წლისთვის სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა იქნება (მაცაბერიძე, 2019). აღნიშნული ცვლილებების მომხრეები მრავალპარტიულ პარლამენტსა და კოალიციური მთავრობის ფორმირების იდეას ემხრობიან, შესაბამისად სავარაუდოა, რომ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, აღნიშნული ცვლილებების ეფექტურად დანერგვასა და იმპლემენტაციას ინსტიტუციურად და ფინანსურად მდგრადი პოლიტიკური პარტიები სჭირდება, რათა შესაძლებელი გახდეს კოალიციების ფორმირება, თანმიმდევრული, საგნობრივი და სტრატეგიული პოლიტიკის განხორციელება, პარტიების მიერ ინტერესების გაერთიანება და პოლიტიკის შექმნა კი თანამედროვე ქართული პარტიული სპექტრის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა (ქობალია, 2020).

საქართველოში პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი მუდამ დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. 2008 წლიდან გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსება, ამ მხრივ ბოლო ცვლილებები 2020 წლის ივლისში განხორციელდა (გამარტივდა საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვება), მიუხედავად აღნიშნულ კანონში შეტანილი არაერთი ცვლილებისა, საკვლევ პერიოდში სახელმწიფო დაფინანსების იდეა უცვლელი დარჩა, კანონის მიზანია შექმნას „პოლიტიკური

პარტიების საქმიანობის, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათი დაფინანსების დახვეწილი, მარტივი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების ჩატარებას თავისუფალ, სამართლიან, თანასწორ გარემოში და შექმნის პარტიული სისტემის განვითარების უკეთეს შესაძლებლობას“ (საქართველოს პარლამენტი, 2020). ამასთან, კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონში შეტანილი ცვლილებები მცირე პარტიებს მეტი დაფინანსების მოპოვების შანს აძლევს.

როგორც ცნობილია, არსებობს პარტიების შემოსავლის სამი მთავარი წყარო: საწევრო შენატანები, კერძო შემოწირულობები და სახელმწიფო დაფინანსების პირდაპირი და ირიბი გზები (Nassmacher, 2006). აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობაში დანერგილია პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. პარტიის ბიუჯეტში სახელმწიფო ფულის წილი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი და უახლოვდებოდეს 70-80%-ს. მკვლევრები (Nassmacher, Biezen და სხვები) ირწმუნებიან, რომ სახელმწიფო დაფინანსება საფრთხეში აგდებს პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კავშირს, წარმოქმნის მომხვეჭელობას და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს პარტიებს, რომლებიც მეტად მცირერიცხოვანია დაფინანსების მისაღებად. ყველაზე ხშირად ისმის კრიტიკა, რომ სახელმწიფო დაფინანსება ამცირებს საჭირო მოტივაციას, დამყარდეს საზოგადოებრივ-პარტიული კავშირები (Biezen v. I., 2003). აღნიშნული კუთხით საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ფინანსური შემოსავლების ძირითადი წყარო, სახელმწიფო დაფინანსება და ასევე კერძო ბიზნესისგან მიღებული შემოწირულობებია (ნოდია & სქოლტბახი, 2006). როგორც ვხედავთ, ხშირად პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების მიზანი არის სახელმწიფოს მხრიდან პარტიების ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ განვითარება, მაგრამ მოაქვს კი ეს შედეგი პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას? დღეს უფრო მეტადაა ქართული პარტიული სპექტრი ინსტიტუციონალიზირებული ან ელექტორალურად მდგრადი ვიდრე სახელმწიფო დაფინანსების მიღებამდე იყო? ეს ის შეკითხვებია, რომლების ისმება, როდესაც პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების კანონის შესახებ დისკუსიისას წარმოიშვება. აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, მაღალი ელექტორალური არასტაბილურობა პარტიების დაბალი პოპულარობა, პარტიის წევრთა სიმცირე, სუსტი პარტიული იდენტობა, სამოქალაქო

საზოგადოებაში პარტიების სუსტი საფუძველი (Dundua et al., 2022) და სახელმწიფოზე მათი ფინანსური დამოკიდებულება - სუსტი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე თვალშისაცემი ნიშნებია (Toka, 1997). შესაბამისად, საინტერესოა შევისწავლოთ თუ რა გავლენა იქონია სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსებამ თანამედროვე ქართული პარტიული სპექტრის ელექტორალურ წარმატებაზე, განვსაზღვროთ რამდენად შეასრულა აღნიშნულმა კანონმა დასახული ამოცანები და გავაანალიზოთ ქართული პარტიების საარჩევნო წარმატების ძირითადი ტენდენციები.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევა მიზნად ისახავს 2008-2020 წლებში საპარლამენტო არჩევნების მაგალითებზე შევისწავლოთ რა ტიპის კორელაცია არსებობს პარტიების ფინანსურ რესურსებსა და მათ ინსტიტუციურ მდგრადობას შორის. ინგრიდ ვან ბიზენისა და პეტრ კოპეკის როგორც თეორიული, ისე ემპირიული ნააზრევის მიხედვით, პარტიათა ელექტორალური წარმატება კავშირშია პარტიების სტატუსზე, რაც თავის მხრივ ორ ძირითად განზომილებას მოიცავს: ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც თავის მრივ ორ ქვე-განზომილება იყოფა ა. დროითი განზომილება (ახალი/ძველი) და ბ. სახელმწიფო ძალაუფლების განზომილება (სამთავრობო/ოპოზიციური), რაც შეეხება მეორე ძირითად განზომილებას ესაა იდეოლოგიური განზომილება (მემარჯვენეობა/მემარცხენეობა) (Biezen & Kopecký, 2007). შესაბამისად, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა ტიპის ურთიერთმიმართება არსებობს პარტიების სტატუსსა (მემარჯვენეობა/მემარცხენეობა, სამთავრობო/ოპოზიციური, „ძველი“ და „ახალი“ პარტიები) და ფინანსების დივერსიფიკაციას შორის. მოცემულით კი ავხსნით, რამდენად შეძლო საბიუჯეტო დაფინანსებამ პარტიების მმართველობითი სტრუქტურის დემოკრატიულობის, იდეოლოგიური მდგრადობისა და წარმომადგენლობითობის ზრდა, თუ პირიქით, გამოიწვია მხოლოდ პარტიების „ფიზიკური გადარჩენა“; ხოლო მათ ფინანსურ რესურსებში სახელმწიფო დაფინანსების ხვედრითი წილის ზრდამ განაპირობა პოლიტიკური პარტიების მიჯაჭვულობა აღნიშნულ რესურსზე, რამაც ალტერნატიული პოლიტიკის განხორციელების მხრივ შეამცირა პარტიების მოტივაცია.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ფორმულირდება:

1. რამდენად განსაზღვრავს პარტიის ფინანსურ რესურსებში საწევრო შენატანებისა და კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილის ზრდა პარტიის ელექტორალურ წარმატებას?
2. რამდენადაა პარტიების პარტიათა სტატუსი (მემარჯვენეობა/მემარცხენეობა, სამთავრობო/ოპოზიციური, „ძველი“ და „ახალი“ პარტიები) დაკავშირებული საარჩევნო წარმატებასთან?

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ჰიპოთეზა №1: რაც უფრო იზრდება პარტიის ფინანსურ რესურსებში საწევრო შენატანებისა და კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი, მით მეტ ელექტორალურ წარმატებას აღწევს პარტია.

ჰიპოთეზა №2: პარტიათა სტატუსი (მემარჯვენეობა/მემარცხენეობა, სამთავრობო/ოპოზიციური, „ძველი“ და „ახალი“ პარტიები) ვერ უზრუნველყოფს მათ საარჩევნო წარმატებას;

კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად, ვიყენებ **კვლევის თვისებრივ მეთოდს,** კერძოდ, დოკუმენტების შინაარსობრივ ანალიზს ვიყენებ საქართველოს კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესის შესასწავლად. აგრეთვე ნაშრომში პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური ფუნდამენტისა და პარტიული სტრუქტურის შესასწავლად გაანალიზებულია პარტიების წესდებები და წინასაარჩევნო პროგრამები. გარდა ამისა, პარტიების ფინანსური რესურსების შესასწავლად გამოყენებულ იქნება მეორეული მონაცემების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შევისწავლე ქართული პოლიტიკური პარტიების ფინანსურ რესურსებში წლების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების, საწევრო შენატანებისა და კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი, მონაცემები შეგროვებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალური მონაცემთა წყაროდან[1]. რაც შეეხება პარტიათა ელექტორალური წარმატების წლების მიხედვით გაზომვას, აგრეთვე მეორეული მონაცემების ანალიზის გამოყენებით შესწავლილ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები. ამასთან, შედარებითი მეთოდის

[1]პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი - https://monitoring.sao.ge/ka

გამოყენებით ნაშრომში ერთმანეთთანაა შედარებული პარტიების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ასევე, კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი ტექნიკა - ექსპერტთა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც გამოვიყენე მიზნობრივი, არაალბათური შეირჩევა - სიღრმისეული ინტერვიუები ჩავატარე მკვლევრებთან, რომელთა სამეცნიერო ინტერესი მოიცავს პარტიულ პოლიტიკას. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ხუთი ექსპერტის გამოკითხვა, კვლევაში მონაწილე ექსპერტებიდან ორი არის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ორი პარტიული პოლიტიკის მკვლევარი, ხოლო ერთი პარტიული ფინანსების მიმართულებით მომუშავე ანალიტიკოსი. აღნიშნული მეთოდის ძლიერი მხარე საკითხის სიღრმისეულად და დეტალურად გაანალიზებაა, შესაბამისად, ინტერვიუს ნახევრადსტრუქტურირებულ გზამკვლევში მოცემული კითხვები, რომლებიც პარტიათა ფინანსურ და ინსტიტუციურ მდგრადობაზეა ფოკუსირებული, პრობლემის უკეთ შესწავლას უწყობს ხელს, კვლევა კი ამ მხრივ უფრო ვალიდური ხდება.

ასევე, კვლევაში პარტიების შემოსავლებისა და საარჩევნო მაჩვენებლების შესასწავლად გამოყენებულია **მეორეული მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი**, კერძოდ პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციები.

რაც შეეხება **შერჩევას,** კვლევის შეზღუდული ფინანსური და დროითი რესურსებიდან გამომდინარე კვლევის პერიოდად შეირჩა 2008-2020 წლები, როდესაც ეტაპობრივად დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ზრდა, ამასთან რადგან კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ და ერთმანეთს შევადაროთ ოპოზიციური და სამთავრობო პოლიტიკური პარტიების ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციის ტენდენციები, კვლევა მოიცავს ორ არჩევნებს, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში 2008 და 2012 წელს ჩატარდა და ასევე ორ არჩევნებს, რომელიც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში 2016 და 2020 წლებში ჩატარდა. შესაბამისად კვლევა მოიცავს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც ბოლო ოთხი საპარლამენტო არჩევნების შედეგებად მოიპოვეს საბიუჯეტო დაფინანსება და ასევე იმ „ახალ“ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც ბოლო ოთხი არჩევნების დროს არ მიუღიათ

საბიუჯეტო დაფინანსება, მაგრამ მოიპოვეს საპარლამენტო მანდატები, აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური შესაძლებლობები იმ პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური შესაძლებლობებისთვის, რომლებიც უფრო მეტად საწევრო და კერძო შენატანებზე არიან დამოკიდებულნი, შესაბამისად კვლევა მოიცავს მიზნობრივად შერჩეულ შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს: 1. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (2012: 54,9%; 2016: 48,67%; 2020: 48,22%); 2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (2008: 59,18%; 2012: 40,4%; 2016: 27,11%; 2020: 27,18) 3.„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“(2020: 3,79%) ; 4. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (2016: 5,01%; 2020: 3,14%); 5.„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“(2008: 7,44%; 2012: 1,24%; 2016: 3,14%; 2020: 1,00 %); 6. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“(2008: 3,78 %; 2016: 1,55%); 7. „გირჩი“ (2020: 2,89%) და მე-8. „მოქალაქეები“ (2020: 1,33 %) (ცენტრალური საარჩევნო კომისია,2008, 2012, 2016, 2020).

პარტიების ელექტორალური წარმატება: თეორიული საფუძვლები

დასახული ფუნქციების შესრულებისთვის პოლიტიკურ პარტიებს, ბუნებრივია, ესაჭიროებათ ფინანსური მდგრადობა, თუმცა აკადემიურ წრეებში წარმართული დებატების ფონზე კვლავაც არ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს პარტიულ პოლიტიკას სახელმწიფო დაფინანსება. როგორც ცნობილია, არსებობს პარტიების შემოსავლის სამი მთავარი წყარო: საწევრო შენატანები, კერძო შემოწირულობები და სახელმწიფო დაფინანსების პირდაპირი და ირიბი გზები (Nassmacher, 2006). პირდაპირი დაფინანსების დროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიები იღებენ დაფინანსებას, რომელიც დამოკიდებულია საპარლამენტო არჩევნებში მათ ელექტორალურ წარმატებაზე, ირიბი დაფინანსების დროს კი ისინი იღებენ წინასაარჩევნო პერიოდში უფასო პოლიტიკურ რეკლამას და საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენელთა შრომის ანაზღაურებას. აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობაში დანერგილია პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. ინგრიდ ვენ ბიზენი ნაშრომში: „პოლიტიკური პარტიები ახალ

დემოკრატიულ ქვეყნებში: პარტიების ორგანიზაცია სამხრეთ და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში“ აღნიშნავს, რომ პარტიის ბიუჯეტში სახელმწიფო ფულის წილი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი და უახლოვდებოდეს 70-80%-ს. მისი მტკიცებით, სახელმწიფო დაფინანსება საფრთხეში აგდებს პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კავშირს, წარმოქმნის მომხვეჭელობას და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს პარტიებს, რომლებიც მეტად მცირერიცხოვანია დაფინანსების მისაღებად. ყველაზე ხშირად ისმის კრიტიკა, რომ სახელმწიფო დაფინანსება ამცირებს საჭირო მოტივაციას, დამყარდეს პარტია-საზოგადოებრივი კავშირები (Biezen v. I., 2003). გარდა ამისა, სახელმწიფო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა ამცირებს ფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების მოტივაციას და პარტიები დამოკიდებულნი ხდებიან მხოლოდ ერთ წყაროზე. სახელმწიფო დაფინანსება კი აძლიერებს პარტიების საარჩევნო ორიენტაციას, რადგან სწორედ არჩევნები წყვეტს მიიღებენ თუ არა პარტიები დაფინანსებას, აღნიშნული კი პოლიტიკურ პარტიებს გარდაქმნის დროებით ორგანიზაციებად, რომლებიც მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ჩნდებიან პოლიტიკურ ასპარეზზე (Biezen v. I., 2003), მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში საბიუჯეტო დაფინანსება პატარა პარტიების გადარჩენის ერთადერთი გზაა. ამასთან ჰოფნუნგის მტკიცებით, პარტიების სახელმწიფო დაფინანსება განსაკუთრებულ გამოწვევას ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში წარმოადგენს, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმი, არამედ მისი შემოღების დროც (Hofnung, 1996). მართლაც, კლასიკურ დემოკრატიებში სახელმწიფო დაფინანსება მას შემდეგ იქნება შემოღებული, როდესაც პარტიებს უკვე ჰქონდათ მდგრადი და გამართული პარტიული ორგანიზაცია და იდეოლოგიური საფუძვლები, ხოლო ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო დაფინანსების პრინციპის დანერგვა მოხდა მაშინ, როდესაც პარტიათა ინსტიტუციური მდგრადობა ჯერ ისევ გამოწვევას წარმოადგენდა, ხოლო საჯარო

მეირის ნაშრომი „პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული დემოკრატიის მოდელების შეცვლა: კარტელი პარტიის გაჩენა“, სადაც ავტორები განიხილავენ ახალი ტიპის პოლიტიკურ პარტიებს, კარტელის პარტიებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ გადარჩენაზე ფიქრობენ და ამ მიზნით, სახელმწიფოს რესურსებს იყენებენ (Katz & Mair, 1995). განსხვავებით კაცისა და მეირის არგუმენტისგან, აღსანიშნავია ბირნირი, რომელიც

ფიქრობს, რომ დაფინანსებამ შეიძლება ხელი შეუწყოს პარტიის ინსტიტუციონალიზაციას: თუ სახელმწიფო დაფინანსება არ არსებობს, ამომრჩევლებს სუსტი სტიმული აქვთ, რომ დაამყარონ კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან, რომელთა არსებობა შეიძლება ეფემერული იყოს ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო. ბირნირმა აღნიშნული თეზისი განავითარა ნაშრომში „სახელმწიფო სარისკო კაპიტალი და პარტიათა ინსტიტუციონალიზაცია“, სადაც იგი ამტკიცებს, რომ დემოკრატიული პრინციპების თანახმად, პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სტრუქტურებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები, აღნიშნულისთვის კი საჭიროა, რომ სახელმწიფომ შექმნას თანაბარი გარემო, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად პარტიათა ფინანსურ გათანაბრებასაც ნიშნავს (Birnir, 2005). აღნიშნულის საპირისპიროდ, კაცი ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და ფინანსები“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სუბსიდიების დიდი ნაწილის გამოიყოფა ხდება ეროვნული არჩევნების შედეგების მიხედვით, რაც პარტიის ცენტრალურ მმართველ რგოლს ანიჭებს პრივილეგიას განკარგონ აღნიშნული რესურსი, რაც ახდენს ორგანიზაციის ზემოდან ქვემოთ მოდელის წახალისებას და ხელს უწყობს ისედაც სუსტი შიდაპარტიული დემოკრატიის პირობებში პარტიაში იერარქიულების განმტკიცებას (Katz, 1996). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში საბიუჯეტო დაფინანსებამ მართლაც შეიძლება შეუწყოს ხელი პარტიათა განვითარებას, ამ მექანიზმის სისტემატურად დანერგვა საბოლოო ჯამში ასუსტებს პარტიების განვითარების მოტივაციას.

საზოგადოდ, რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის მმართველობასთან და ძალაუფლებასთან დაკავშირებაში დიდი წვლილი მიუძღვის რიჩარდ ემერსონს, რომელიც ნაშრომში: „ძალაუფლებაზე დამოკიდებულების ურთიერთობები“ განიხილავს ფინანსურ რესურსებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებას (Emerson, 1962). პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში, რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, რადგან სახელმწიფო დაფინანსება დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიებისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომია, პარტიები უფრო და უფრო დამოკიდებულები ხდებიან საჯარო ფინანსებზე, ისინი ორიენტირებული ხდებიან აღნიშნული დაფინანსების შენარჩუნებაზე, რაც პარტიულ პოლიტიკაში ახალ გამოწვევებს წარმოშობს. ნიკოლ ბოლეიერის აზრით,

სახელმწიფო დაფინანსების ზეწოლა, რაც გულისხმობს პარტიის ფინანსებში სახელმწიფო დაფინანსების ხვედრითი წლის ზრდას, ამცირებს საწევო შენატანების ოდენობას (Bolleyer, 2020), რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს პარტიის სტრუქტურის შესუსტებაზე.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის ერთადერთი სამიზნე მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსება არაა, არამედ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ წყაროზე დამოკიდებულებას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული გავლენა პოლიტიკურ პარტიებზე, განსაკუთრებით კერძო შემომწირველებს. სახელმწიფო დაფინანსების მსგავსად შესაძლოა კერძო შემოწირულობებზე პარტიის ფინანსურმა დამოკიდებულებამ გამოიწვიოს პარტიის საქმიანობის არა საჯარო არამედ კერძო ინტერესებზე დამოკიდებულება (Billis, 2010). ამასთან, ბოლეიერის მტკიცებით, თუ საწევრო გადასახადი პარტიის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა, ორგანიზაციული დაქვემდებარებულობა სახელმწიფო დაფინანსების ზეწოლის მიმართ ნაკლებად არის გამოხატული (Bolleyer, 2020). შესაბამისად, რესურსებზე დამოკიდებულების თეორია ხაზს უსვამს შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნების მნიშვნელობას. ამასთან, პატრიცია კორეას მტკიცებით (Bolleyer & Correa, 2020), რაც უფრო ნაკლებადაა პარტია დამოკიდებული რომელიმე ერთ ფინანსურ წყაროზე მით მეტად ასრულებს იგი ინტერესთა აგრეგაციისა და არტიკულაციის ფუნქციებს და გამოხატავს ამომრჩეველთა ინტერესებს.

პარტიათა ფინანსური მდგრადობის კვლევის მხრივ აღსანიშნავია სიუზან სქეროუს, პოლ ვებისა და თომას ფოუგანკის ნაშრომი „პოლიტიკური პარტიების ორგანიზება: წარმომადგენლობა, მონაწილეობა და ძალაუფლება“. პოლიტიკური პარტიების მატერიალური და არამატერიალური რესურსების განზომილების შესასწავლად სქეროუ და ვებისი (Scarrow, Webb, & Poguntke, 2017) გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლადს, პირველი ესაა - რესურსების დივერსიფიკაცია კონცენტრაცია, რაც კავშირშია პარტიის ფინანსური სიძლიერე/სისუსტესთან, რადგან ავტორთა მტკიცებით, პარტია მეტად ავტონომიურია თუ მას შემოსავლების რამდენიმე ალტერნატიული წყარო აქვს. ასევე სქეროუ გამოყოფს სახელმწიფოზე დამოკიდებულება/დამოუკიდებლობის ინდიკატორს, რომელიც ზომას სახელმწიფო აპარატსა და პარტიის ორგანოებს შორს

არსებულ მიმართებას. რესურსების განზომილებაში ასევე მნიშვნელოვანია პარტიის ბიუროკრატიული სიძლიერის/სისუსტის განსაზღვრა. ჰყავს თუ არა პარტიას პროფესიონალი თანამშრომლები, რომლების ორგანიზებას უწევენ პარტიის ყოველდღიურ საქმიანობას? თანამედროვე პარტიებს ახასიათებთ წინასაარჩევნოდ დაქირავებული თანამშრომლების ქსელის შექმნა, რომელიც არჩევნების შემდგომ იშლება. თუმცა ტრადიციულ პარტიებს შენარჩუნებული აქვთ ბიუროკრატიული აპარატი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევა ქართული პოლიტიკური პარტიების ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობის გასაზომად მეტწილად აღნიშნულ ცვლადებს ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ ინგრიდ ვენ ბიზენი და პეტრ კოპეკი (Biezen & Kopecky, The Paradox of Party Funding: The Limited Impact of State Subsidies on Party Membership, 2017) აქცენტს პარტიათა სტატუსსა და ფინანსურ მდგრადობას შორის კორელაციაზე აკეთებენ. დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტიული სისტემების ანალიზის შედეგად ავტორთა მტკიცებით, დიდი პარტიული ტრადიციის მქონე პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აქვთ ჩამოყალიბებული პარტიული სტრუქტურა და ჰყავთ ერთგული წევრები ნაკლებად არიან დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე, განსხვავებით ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიებისა, რომელთა ფინანსურ რესურსებში 70%-მდე ხვედრითი წილი სწორედ სახელმწიფო დაფინანსებას აქვს. ასევე ბიზენი და კოპეკი აქცენტს ოპოზიციურ და სამთავრობო პარტიებზე აკეთებენ, მათი დაკვირვებით დასავლეთ ევროპაში სახელისუფლებო პარტიები უფრო მეტად საწევრო შენატანებზე და სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი, რადგან ერიდებიან კერძო ბიზნესისგან დაფინანსების მიღებას, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სამთავრობო პარტიები უფრო მეტად სწორედ კერძო შემოწირულობებზე არიან ორიენტირებულნი. რაც შეეხება ოპოზიციას, ავტორთა მტკიცებით დასავლეთ ევროპაში ოპოზიცია უფრო მეტადაა დამოკიდებული კერძო შემოწირულობებზე, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიჯაჭვულია სახელმწიფო დაფინანსებაზე. ასევე ავტორები პარტიათა იდეოლოგიურ მიკუთვნებულობაზე აკეთებენ და ასკვნიან, რომ მემარცხენე პარტიებს მჭიდრო კავშირი აქვთ პროფკავშირებთან და დაფინანსებასაც

მათგან იღებენ, ხოლო მემარჯვენე პარტიები ორიენტირებულნი არიან კერძო ბიზნესის მხარდაჭერის მოპოვებაზე.

კვლევის შედეგები და დისკუსია

რესურსების დივერსიფიკაციის კავშირი პარტიათა ელექტორალურ წარმატებასთან

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური მდგრადობის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რამდენად შეასრულა საბიუჯეტო დაფინანსების იდეამ დასახული მიზნები და შეუწყო ხელი პოლიტიკური წარმომადგენლობითობის ზრდამ. როგორც წინა ქვეთავში ვნახეთ, ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ამჟღავნებენ სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებულების მაღალ მაჩვენებელს, მაგრამ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საერთო ეროვნული, საპარლამენტო არჩევნების დროს იზრდება პარტიის შემოსავლებში კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი, რაც ბუნებრივია, საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის გაზრდილი ხარჯებითაა გამოწვეული, მაგრამ ამასთან აღსანიშნავია, რომ ე.წ „პატარა“ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წლიდან წლამდე სახელმწიფო დაფინანსებით არსებობენ, არც საარჩევნო წელს გამოირჩევიან აქტიურობით, ამომრჩევლისთვის პოლიტიკური ალტერნატივების შეთავაზებით და შესაბამისად არ ზრუნავენ ფინანსების დივერსიფიკაციაზე, ექსპერტთა აზრით, აღნიშნულის მიზეზი დაბალი მოტივაციაა, რაც გამოწვეულია საბიუჯეტო დაფინანსებაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხით (ინტერვიუ ექსპერტთან №3, 2020). ამასთან, პარტიებს არ უღირთ გარისკონ და განსხვავებული ხედვები ან პოლიტიკური კურსები შესთავაზონ საკუთარ ამომრჩეველს იმის შიშით, რომ არ დაკარგონ ის მინიმალური სტაბილური ელექტორატი, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო დაფინანსებას მუდმივად იღებენ „მათ დასაკარგი რომ არაფერი ქონდეთ, უფრო აქტიურ და მრავალფეროვან პოლიტიკურ კამპანიას წარმართავდნენ, რათა კერძო შემმწირვებელები და მხარდამჭერები მოეზიდათ“ (ინტერვიუ ექსპერტთან №5, 2020). აღსანიშნავია, რომ რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, თუ საწევრო გადასახადი პარტიის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა, ორგანიზაციული დაქვემდებარებულობა სახელმწიფო დაფინანსების ზეწოლის მიმართ ნაკლებად არის გამოხატული (Bolleyer, 2020). 2006 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად, პარტიების შემოსავლის

წყარო საწევრო გადასახადები და შემოწირულობები იყო. თუმცა ამ შემოსავლებში ძირითად ნაწილს პარტიის წევრების და მეგობრებისგან, ასევე კერძო ბიზნესისგან მიღებული შემოწირულობები წარმოადგენდა (ნოდია & სქოლტბახი, 2006). ბუნებრივია, რომ პოლიტიკური პარტიების წარმატება კავშირშია მათ ფინანსურ სიძლიერესთან, შესაბამისად პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ახერხებენ არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე და იღებენ სხვა შემოწირულობებსაც, მეტად აქტიურად წარმართავენ საარჩევნო კამპანიას და ახერხებენ ამომრჩევლის მობილიზებას.

კვლევის მიზნებიდან და შერჩევის მეთოდიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ 2008, 2012,2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში რამდენად იმოქმედა პარტიათა ელექტორალურ წარმატებაზე ფინანსურ რესურსებში კერძო შემოწირულოების ზრდამ ან კლებამ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში კვლევის ობიექტი პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ სამი მონაწილეობდა, ესენია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს „ლეიბორისტული პარტია” და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯამურად 14 333 017 ლარი შემოწირულობა მიიღო, რომლის 12,93% საბიუჯეტო დაფინანსება იყო, ხოლო 87,07% კერძო შემოწირულობა, ამასთან პარტიას არ მიუღია საწევრო შენატანებიდან თანხა (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, 2020). რაც შეეხება „საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას", მან 2008 წელს ჯამურად 289 722 ლარი მიიღო, რომლის მხოლოდ 2%-ს წარმოადგენდა საწევრო შემოწირულობა და ფაქტობრივად, პარტია მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული. ანალოგიურად,„ლეიბორისტული პარტიის“ შემოსავლების 100% საბიუჯეტო დაფინანსება იყო და 352 524 ლარს შეადგენდა (იხ. დიაგრამა N1).



*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციებისა და არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოყენებით.

საპარლამენტო არჩევნების შედეგებსა და პარტიათა ფინანსების დივერსიფიკაციას შორის კავშირს (დიაგრამა №2), აღსანიშნავია, რომ ზოგადი ტენდენცია, რომელზეც აქცენტს რესურსებზე დამოკიდებულების თეორია აკეთებს, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო იზრდება პარტიის შემოსავლებში კერძო შემოწირულობის ხვედრითი წილი, მით მეტ ელექტორალურ წარმატებას აღწევს პარტია (Bolleyer, 2020), ამ არჩევნებზეც შენარჩუნებულია, თუმცა გარკვეული გამონაკლისით. 2012 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კერძო შემოწირულობის სახით 11 მილიონამდე ლარი მიიღო, რაც პარტიის საერთო შემოსავლების 85%-ს წარმოადგენდა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ კერძო შემოწირულობის სახით 1,5 მილიონი ლარი მიიღო, რაც საერთო შემოსავლების 84%-ს უდრიდა, მიუხედავად რიცხობრივად ამ ორ პარტიას შორის ინანსური სხვაობისა, მაინც „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, აღნიშნულთან დაკავშირებით სიღრმისეული

ინტერვიუს დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2012 წლის არჩევნები სრულიად განსხვავდებოდა ყველა სხვა არჩევნებისგან და შესაბამისად ამ წელს არჩევნებში პარტიის გამარჯვების ახსნა მისი ფინანსური შემოსავლებით რთული იქნება, რადგან „2012 წელი ქართული პოლიტიკური სისტემისთვის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის პირველი შანსი იყო“ (ინტერვიუ ექსპერტთან №1, 2020).



*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციებისა და არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოყენებით.

ამასთან, ჩვენი კვლევა მეტად ორიენტირებულია სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებულ პოლიტიკურ პარტიებზე. მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ შემოსავლების 77%-ს საბიუჯეტო დაფინანსება წარმოადგენდა, თუმცა მიუხედავად საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისა პარტიამ ვერც ამჯერად შეძლო საპარლამენტო მანდატების მოპოვება. ტენდენცია, რომლის მიხედვითაც არჩევნებში იმარჯვებს ის პოლიტიკური პარტია, რომლის ფინანსებშიც კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია, 2016 წელსაც შენარჩუნდა (დიაგრამა №3). აღნიშნულ არჩევნებში სახელმწიფო რესურსებზე ყავლზე ნაკლებად დამოკიდებული პარტია „ქართული ოცნება“ იყო, რომელმაც ჯამში 23 000 000

ლარის კერძო შემოწირულობა მიიღო, ასევე აღსანიშნავია 2016 წელს ახლად გამოჩენილი პოლიტიკური პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელმაც ამ წელს 563 300 ლარი კერძო შემოწირულობა მიიღო და შეძლო საპარლამენტო მანდატების მოპოვება, განსხვავებით „რესპუბლიკური პარტიისა“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიისა“, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ სისტემატიურად იღებდნენ ფინანსურ



მხარდაჭერას სახელმწიფოსგან, ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ვერ შეძლეს საპარლამენტო მანდატების მოპოვება. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას", ჯამურად პარტიამ 2016 წელს 3 800 000ლარი მიიღო, საიდანაც 3 400 000 ლარი საბიუჯეტო დაფინანსებას, ხოლო 400 000 ლარი კერძო შემოწირულობას შეადგენდა.

აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ ნაციონალურ მოძრაობაზე ოდნავ მეტი კერძო შემოწირულობა ჰქონდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ენმ“-მ ხმების 27% მოიპოვა, ხოლო პატრიოტთა ალიანსმა 5% (ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016). აგრეთვე, ინტერვიუს დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებობდა

ვარაუდები, რომ ქართულ პარტიულ პოლიტიკაში რუსული ფული გამოჩნდა, თუმცა ამ ვარაუდს ოფიციალური გამოძიება არ მოჰყოლია (ინტერვიუ ექსპერტთან №3, 2020). აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ პირველად მონაწილეობდა არჩევნებში და ბუნებრივია, ის ვერ შეძლებდა ისეთი გამოცდილ პარტიაზე მეტი მანდატის მოპოვებას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, თუმცა „პატრიოტთა ალიანსმა“ აჯობა სხვა სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებულ პარტიებს. რაც შეეხება, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, სახელმწიფო დაფინანსება პარტიების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების 19%-ს შეადგენდა, ამასთან შედარებისთვის, 2019 წელს პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების 60%-მდე სახელმწიფო დაფინანსება იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს“ მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ 2019 წელს, 2020 წლისგან განსხვავებით, არ გამართულა საერთო არჩევნები (ჩიხლაძე, კახიძე, & ნატროშვილი, 2021). საარჩევნო წელს კი, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების შემოწირულობებში მაღალია კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი. 2020 წელს ჯამურად ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა შემოსავლის სახით 57 901 310 ლარი მიიღეს, რომლის 77% (46,586,370 ლარი) კერძო შემოწირულებებს წარმოადგენდა, ხოლო 19% (11,314,940 ლარი) საბიუჯეტო დაფინანსებას.



*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციებისა და არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოყენებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით სიღრმისეული ინტერვიუს დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც არ ჰქონიათ სახელმწიფო დაფინანსება და ამის პარალელურად ჰქონდათ სოლიდური კერძო შემოწირულობები, მაგალითად „ლელოს“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“, სწორედ მსგავსი ფაქტის გამო დაიკლო ჯამურად სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებულების ხარისხმა და არა იმ მიზეზით, რომ ფინანსური მდგრადობის კუთხით გაუმჯობესდა პატარა პარტიების მდგომარეობა (ინტერვიუ ექსპერტთან №2, 2020). თუმცა ექსპერტის მიერ აღნიშნულმა პარტიებმაც ვერ შეძლეს ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვება, რაც ახალად შექმნილი პარტიებისთვის ბიეზენის მიხედვით (Biezen & Kopecký, 2007) გასაკვირი არ არის. ამასთან, დიაგრამა №3-ის მიხედვით, ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ელექტორალურ წარმატებას აღწევს ის პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე მეტ კერძო შემოწირულობას იღებს, კვლავაც გამართლდა. გარდა ამისა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზმა ფინანსებსა და ელექტორალურ წარმატებას შორის რამდენიმე ახალი მახასიათებელი გამოავლინა. პირველ რიგში აღსანიშნავია, ორი ახალი პოლიტიკური პარტია - „გირჩი“ და „მოქალაქეები“, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად პირველად მონაწილეობდნენ და ისინი 100%-ით დამოკიდებულები იყვნენ კერძო შემოწირულობებზე, რადგან უარი თქვეს საბიუჯეტო დაფინანსების მიღებაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში ზუსტად ვერ იქნა მოძიებული 2020 წლის განმავლობაში „გირჩის“ მიერ მიღებული კერძო შემოწირულობის ოდენობა, თუმცა დადასტურდა, რომ პარტიას არ მიუღია სხვა ტიპის შემოწირულობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს „ლეიბორისტულმა პარტიამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიიღო საარჩევნო ხმების 1% და ამასთან პარტიამ საბიუჯეტო დაფინანსების სახით მიიღო 954 580 ლარი, ამისგან განსხვავებით პოლიტიკურმა პარტიამ „მოქალაქეებმა“ მხოლოდ კერძო შემოწირულობის მიიღო 343 300 ლარი და მოიპოვა საარჩევნო ხმების 1,33%. ამრიგად, 2020 წელს საქართველოს „ლეიბორისტული პარტია“ იყო ყველაზე მეტად სახელმწიფოზე დამოკიდებულები თითქმის 99%-ით, ასევე მაღალი

მაჩვენებელი ჰქონდათ „პატრიოტთა ალიანსს“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა ზღვარგადაულახავი პარტიების დიდი ნაწილი სწორედ სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებული, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ სახელმწიფო დაფინანსებაზე მაქსიმალურად დამოკიდებული პოლიტიკური პარტია მინიმალურ წარმატებას აღწევს არჩევნებში, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებაზე მინიმალურად დამოკიდებული პოლიტიკური პარტია (2016- 2020 წლების შემთხვევაში „ქართული ოცნება“, ხოლო 2008 წლის შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა“) მაქსიმალურ წარმატებას აღწევს არჩევნებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ „რესპუბლიკური პარტია“, რომელსაც 2008-2020 წლებში ჯამურად სახელმწიფოსგან მიღებული აქვს 4 405 846 ლარი (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, 2020), საკვლევი ოთხი საპარლამენტო არჩევნებიდან მხოლოდ ორ არჩევნებზე (2008 და 2016) მონაწილეობდა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და ვერცერთ ჯერზე ვერ შეძლო ელექტორალური წარმატების მიღწევა, ხოლო 2012 წელს პარტია წინასაარჩევნოდ შეუერთდა „ქართულ ოცნებას“, ხოლო 2020 წელს „ნაციონალურ მოძრაობს“ და მხოლოდ ამ გზით შეძლო საპარლამენტო მანდატების მოპოვება, შესაბამისად „რესპუბლიკური პარტია“ და „ლეიბორისტული პარტია“ ნათელი მაგალითია იმისა, რომ პარტიის სახელმწიფო დაფინანსებაზე მიჯაჭვულობა ხელს უშლის მათ ელექტორალურ წარმატებას და მართლდება „რესურსებზე დამოკიდებულების თეორია“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები ახერხებენ გადარჩენას, მაგრამ ვეღარ აღწევენ ფართო საარჩევნო წარმატებას.

შესაბამისად, 2008-2020 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგებისა და პოლიტიკური პარტიების შემოსავლებში სახელმწიფო დაფინანსების, კერძო შემოწირულობისა და საწევრო შენატანების თანაფარდობის ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ პარტიულ სპექტრში, ფაქტობრივად, არ არსებობს საწევრო შენატანების სისტემა. კვლევამ აჩვენა, რომ საწევრო შენატანები ქართული პარტიების ელექტორალურ წარმატებაზე გავლენას ვერ ახდენენ, თუმცა ნაწილობრივ დადასტურდა ჰიპოთეზის მეორე ნაწილი, რადგან პარტიების შემოსავლებში კერძო შემოწირულობის ხვედრითი წილის ზრდა ხელს უწყობს პარტიის ელექტორალურ წარმატებას.

2.პარტიის სტატუსი: ორგანიზაციული სტრუქტურა, იდეოლოგია და ელექტორალური წარმატება

პოლიტიკური პარტიების ელექტორალურ წარმატებას ფინანსების გარდა სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს, ინგრიდ ვან ბიზენისა და პეტრ კოპეკის როგორც თეორიული, ისე ემპირიული ნააზრევის მიხედვით, პარტიათა ელექტორალური წარმატება კავშირშია პარტიების სტატუსზე, რაც თავის მხრივ ორ ძირითად განზომილებას მოიცავს: ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ ორ ქვე-განზომილება იყოფა ა. დროითი განზომილება (ახალი/ძველი) და ბ. სახელმწიფო ძალაუფლების განზომილება (სამთავრობო/ოპოზიციური), რაც შეეხება მეორე ძირითად განზომილებას ესაა იდეოლოგიური განზომილება (მემარჯვენეობა/მემარცხენეობა) (Biezen & Kopecký, 2007). აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე კვლევაში მთავარი აქცენტი კეთდება პოლიტიკური პარტიების რამდენიმე კატეგორიებზე, კერძოდ: სამთავრობო და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები; მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური პარტიები; „ძველი“ და „ახალი“ პოლიტიკური პარტიები.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა მიცავს 2008-2020 წლების პერიოდს, სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების ფინანსური შემოსავლების შედარების დროს ერთმანეთისგან გაიმიჯნა 2008-2012 წლები, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა სახელისუფლებო პარტიას და 2013-2020 წლები, როდესაც „ქართული ოცნება“ გახდა მმართველი პარტია. რაც შეეხება იმის შესწავლას რამდენად არის კავშირში პარტიათა იდეოლოგიური მიკუთვნებულობა მათ ფინანსურ შემოსავლებთან კვლევაში მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები დაჯგუფდნენ მათი დეკლარირებული ღირებულებების მიხედვით, ამ მხრივ მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ პარტიებს მიეკუთვნებიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ „ევროპული საქართველო“ და „გირჩი“, ხოლო „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „მოქალაქეები“ როგორც ეკონომიკურად მემარცხენე-ცენტრისტული პარტიები. ხოლო, რაც შეეხება ე.წ „ძველ“ და ე.წ „ახალ“ პოლიტიკურ პარტიებს, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „ქართული ოცნება“ მოიაზრებიან,

როგორც გამოცდილ, ე.წ „ძველ“ პოლიტიკურ პარტიებად, რომელთაც არაერთ არჩევნებში აქვთ მონაწილეობის გამოცდილება და აქვთ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაცია, ხოლო „გირჩი“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „მოქალაქეები“ და „ევროპული საქართველო“ მოიაზრებიან, როგორც ე.წ „ახალი“ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც 2016 წლიდან და მას შემდეგ გამოჩნდნენ ქართულ პარტიულ სპექტრში და აქვთ არჩევნებში მონაწილეობისა და პარტიული ორგანიზაციის მართვის შედარებით ნაკლები გამოცდილება. 2008-2012 წლებში პოლიტიკური პარტიების შემოსავლების ანალიზი (დიაგრამა №5) ცხადყოფს, რომ ოპოზიციურ და სამთავრობო პარტიების შემოსავლებს შორის ძალიან დიდი დისბალანსი და უთანასწორობა არსებობდა, ამ წლების მანძილზე სახელისუფლებო პარტიამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, კერძო შემოწირულობის სახით 40 მილიონამდე ლარი მიიღო, რაც 12-ჯერ აღემატება ანალოგიურ პერიოდში ოპოზიციური პარტიების (ლეიბორისტული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ქართული ოცნება) კერძო შემოწირულობებს.



დიაგრამა №5 - სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების შემოსავლებს შორის თანაფარდობა ლარებში 2008 - 2012 წლებში *

*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციების გამოყენებით.

ამასთან ამ პერიოდში არსებული საწევრო შენატანები მხოლოდ რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის, სხვა პარტიებს არც სამთავრობოს და არც ოპოზიციურს მსგავსი შიდაპარტიული მექანიზმი არ ჰქონიათ, რაც ექსპერტმა განგვიმარტა, როგორც „ეს იყო რესპუბლიკური პარტიის მცდელობა, რომ ყოფილიყო ჭეშმარიტად დასავლური ყაიდის პარტია, თუმცა მიუხედავად მცდელობებისა, საბოლოოდ დასავლური ტიპის პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, სამწუხაროდ მაინც ვერ მოახერხეს“ (ინტერვიუ ექსპერტთან №1, 2020).



*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციების გამოყენებით.

სამთავრობო და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებულ აღნიშნულ დისბალანსთან დაკავშირებით, სიღრმისეული ინტერვიუს დროს ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე ტენდენცია, რაც ვლინდება სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც კერძო სექტორი მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას აფინანსებს, ექსპერტის აზრით, ამის სამი მიზეზი არსებობს, პირველი, რაც ყველაზე იშვიათ შემთხვევაში ხდება კერძო დამფინანსებელი რეალურად უჭერს მხარს პოლიტიკურ პარტიას (ინტერვიუ ექსპერტთან №4, 2020). კერძო კომპანიების მხრიდან პარტიების დაფინანსების ექსპერტის მიერ დასახელებული მეორე მიზეზი შეეხებოდა შიშს, რომელსაც კერძო კომპანიის

მფლობელი განიცდის, რომ თუ ის სახელისუფლებო პარტიას არ დააფინანსებს შესაძლოა მის ბიზნეს საქმიანობას პრობლემები შეექმნას და მესამე შემთხვევაში კერძო ბიზნესი ხელისუფლებას პრივილეგიების მიღების იმედით აფინანსებს, რომ სამომავლოდ მათ სახელმწიფო ტენდერებში გაიმარჯვონ (ინტერვიუ ექსპერტთან №4, 2020)

აღსანიშნავია, რომ დიაგრამა №6 ნათლად წარმოაჩენს ფინანსურ განსხვავებას ოპოზიციურ და სამთავრობო პარტიებს შორის. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ სახელისუფლებო პარტია გახდა მან 80 მილიონზე მეტი ლარი მიიღო კერძო შემოწირულობის სახით, რაც 6-ჯერ აღემატება ჯამურად ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებულ კერძო შემოსავლებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები უფრო მეტად ამჟღავნებენ დამოკიდებულებას სახელმწიფო დაფინანსებაზე, ვიდრე სამთავრობო პარტია.

რაც შეეხება პარტიების იდეოლოგიურ მიკუთვნებულობასა და ფინანსებს შორის კორელაციას, აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, მემარჯვენე პარტიები საკუთარი წინასაარჩევნო იდეებით ცდილობენ კერძო სექტორის ინტერესების გატარებას, მემარცხენე პარტიები კი უფრო მეტად ორიენტირებულები არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გამოხატვაზე, რაც შესაძლოა მეტ მოტივაციას ქმნიდეს მხარდაჭერების მხრიდან, რომ განახორციელონ საწევრო შენატანი (Gigauri, 2022).



*მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციების გამოყენებით.

ამასთან, ცენტრალურ ევროპაში ჩატარებული მსგავსი კვლევები გვაჩვენებს, რომ პარტიების იდეოლოგიურ ღირებულებებსა და შემოსავლებს შორის ურთიერთმიმართება ნამდვილად არსებობს, მაგალითად მემარცხენე პოლიტიკური პარტიები, ასევე ქრისტიან-დემოკრატიული ოჯახის პარტიები, რომელთა უმეტესობას წევრების ინსტიტუტის ტრადიციები აქვთ საწევრო გადასახადის სახით იღებენ დიდ შემოწირულობებს. ხოლო კონსერვატორები და ლიბერალები პირიქით, მეტად არიან დამოკიდებული კერძო შემოწირულობებზე, ხოლო ახალი პარტიული ოჯახები, როგორიცაა მწვანეთა და უკიდურესი მემარჯვენეები, რომლებიც გაჩნდნენ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება მთავრობის დაფინანსების ფართო ხელმისაწვდომობით, სწორედ საბიუჯეტო დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი (Scarrow, Webb, & Poguntke, 2017). ქართული პოლიტიკური პარტიების დაჯგუფებისა და მათი ფინანსური შემოსავლების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ ლიბერტარიანული ღირებულებების მქონე პარტია „გირჩი“ მისი იდეოლოგიური ღირებულებებიდან გამომდინარე სრულად კერძო შემოწირულობებზეა დამოკიდებული, მაგრამ მეორე მხრივ არ გამართლდა კვლევის ვარაუდი და მემარჯვენე ცენტრისტული პარტიები უფრო მეტად არიან კერძო შემოწირულობებზე დამოკიდებული, ვიდრე მემარჯვენე პარტიები (დიაგრამა №16),ამასთან საწევრო შენატანები არცერთი იდეოლოგიის პარტიისთვის არაა შემოსავლის წყარო.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მემარცხენე ცენტრისტული პარტიების ჯგუფში მოხვდა სახელისუფლებო პარტია ქართული ოცნება, რომელიც სხვა პარტიებთან შედარებით 6-ჯერ მეტ შემოსავალს იღებს კერძო სექტორიდან, რაც მემარცხენე პარტიების შემოსავლების პროცენტულ თანაფარდობაში კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილის ზრდას, ხოლო მემარჯვენე ცენტრისტული პარტიების ჯგუფში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია ოპოზიციურია და შესაბამისად კერძო სექტორი არ გამოირჩევა ოპოზიციური პარტიების დაფინანსებით. ამრიგად, პარტიის იდეოლოგიური კუთვნილების გავლენა მის შემოსავლებზე ფაქტობრივად არაა ურთიერთდაკავშირებული ცვლადები, გარდა ლიბერტარიანული პოლიტიკური



დიაგრამა №8 - "ძველი" და "ახალი" პარტიების შემოსავლებს შორის თანაფარდობა ლარებში 2008 - 2020 წლებში *

სპექტრისა, რომელიც უარს ამბობს სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღებაზე და აქტიურად მუშაობს კერძო შემომწირველების მოძიებაზე. რაც შეეხება ე.წ „ძველი“ და „ახალი“ პარტიების შედარებას, აღსანიშნავია, რომ არსებობდა მოლოდინი, რომლის მიხედვითაც „ძველი“ ე.ი გამოცდილი პარტიები ნაკლებად იქნებოდნენ დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე, რადგან მათ აქვთ არჩევნებში მონაწილეობისა და პარტიული ორგანიზაციის მართვის დიდი გამოცდილება, ასევე აქვთ ეკონომიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილებაც, რამაც მათთვის კერძო დონორებისგან თანხების შეგროვებას უფრო ამარტივებს, ვიდრე ე.წ „პატარა“პარტიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ასეთი გამოცდილება. თანამედროვე ქართული პარტიული სპექტრის ფინანსური შემოსავლების კვლევამ გვაჩვენა, რომ „ახალი“ პოლიტიკური პარტიების შემოსავლების 59% სახელმწიფო დაფინანსებაზეა დამოკიდებული (დიაგრამა №8).

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ მჭიდრო კავშირი კერძო სექტორთან (ინტერვიუ ექსპერტთან №5, 2020), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ „ახალი“ პარტიების კატეგორიაში მოხვდა „პატრიოტთა ალიანსიც“, რომელსაც ფინანსურად სახელმწიფოზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი აქვს, და ამ კატეგორიაში ასევე მოხვ *მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია პარტიების ყოველწლური დეკლარაციების გამოყენებით. ეჯეტო დაფინანსებას რაც შეეხება „ძველ“ პოლიტიკურ პარტიებს, მათ შემოსავლებში საშუალოდ 69% სწორედ კერძო შემოწირულობაზე მოდის, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ „ძველი“ პოლიტიკური პარტიების ჯგუფში მოხვდა „ლეიბორისტული პარტიაც“, რომელსაც სახელმწიფო ფინანსებზე დამოკიდებულების მაღალი მავნებელი აქვს“ და ასევე ამავე კატეგორიაში მოხვდა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 2012 წლამდე დიდი რაოდენობით კერძო შემოწირულობებს იღებდა და ასევე ამ კატეგორიაშია „ქართული ოცნებაც“, რომელიც როგორც სახელისუფლებო პარტია სხვა პარტიებთან შედარებით 6-ჯერ მეტ კერძო შემოწირულობას იღებს, შესაბამისად პარტიათა ამ ჯგუფის შემოსავლებში კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილის ზრდა ამ ორი პოლიტიკური პარტიის, როგორც ყოფილი და მიმდინარე სამთავრობო პარტიების, შემოსავლების ხარჯზე მოხდა.

კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად პარტიების მხრიდან იდეოლოგიური ღირებულებების დეკლარირებისა, ხშირია წლიდან წლამდე ეკონომიკური თუ სოციალური ხედვების შეცვლა, ასევე ხშირად ერთი და იგივე იდეოლოგიური ღირებულების მქონე პარტია ამომრჩეველს რადიკალურად განსხვავებულ საკითხებს ჰპირდება. ამასთან, სალომე დუნდუასა და სანდრო ტაბატაძის აზრით, საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურია „ულტრა მემარჯვენე“ პოლიტიკური ხედვების ზუსტი

დეფინიციის არ არსებობის საკითხი (Tabatadze & Dundua). ექსპერტის აზრით, აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქართული პარტიები არ არიან შექმნილები ღირებულებების ირგვლივ, არამედ ისინი ერთიანდებოდნენ ლიდერების გარშემო და ასევე არც ამომრჩეველს აქვს დაკვეთა იდეოლოგიური ღირებულებების მიმართ (ინტერვიუ ექსპერტთან №2, 2020). მაგალითისთვის, თავს მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ გაერთიანებას უწოდებს „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“ და „პატრიოტთა ალიანსიც“, თუმცა სანდრო ტაბატაძის კვლევის შედეგად „პატრიოტთა ალიანსი“ ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური პოლიტიკური პარტიაა, რომელიც კულტურული ევროსკეპტიციზმით ხასიათდება (Tabatadze, 2022).

ამრიგად, კვლევის შედეგად ვერ დადასტურდა ქართული პოლიტიკური პარტიების დეკლარირებულ იდეოლოგიურ მიკუთვნებულობასა და შემოსავლებს შორის მჭიდრო კორელაცია, მოსალოდნელი იყო, რომ მემარცხენე პარტიები მეტად იქნებოდნენ სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებული, ხოლო მემარჯვენე პარტიები პირიქით კერძო შემოწირულობებზე, თუმცა ამ ორი ჯგუფის შემოსავლებში სახელმწიფო დაფინანსების, კერძო შემოწირულობისა და საწევრო შენატანების (არცერთი იდეოლოგიის ჯგუფში არ არსებს საწევრო შენატანების ჩამოყალიბებული მექანიზმი)ხვედრითი წილი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, გარდა ლიბერტარიანული ჯგუფისა, რომელიც როგორც მოსალოდნელი იყო მხოლოდ კერძო შემოწირულობებით არსებობს. რაც შეეხება პარტიული ორგანიზაციის არსებობის ხანგრძლივობასა და მათ შემოსავლებს შორის კორელაციას, ამ მიმართულებით ნაწილობრივ გამართლდა ჰიპოთეზა, რადგან ე.წ „ძველი“ პარტიები ნაკლებად არიან დამოკიდებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე და „ახალი“ პარტიები, რომლებსაც არ აქვთ პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის დიდი გამოცდილება, შედარებით მეტ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ სახელმწიფო დაფინანსებაზე, რაც გარკვეულწილად არ აძლევს მათ მეტი კერძო შემოწირულობის მოზიდვისთვის საჭირო მოტივაციას.

დასკვნა

ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად წლიდან წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების ზრდისა, იდეოლოგიური პროფილისა და თანმიმდევრული პოლიტიკის არარსებობა თანამედროვე ქართული პარტიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო წარმატება ხშირ შემთხვევაში არა სახელმწიფო დაფინანსებასთან, არამედ კერძო შემოწირულებებთანაა დაკავშირებული.

რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის კონტექსტში, 2008-2020 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგებისა და პოლიტიკური პარტიების შემოსავლებში სახელმწიფო დაფინანსების, კერძო შემოწირულობისა და საწევრო შენატანების თანაფარდობის ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ პარტიულ სპექტრში, ფაქტობრივად, არ არსებობს საწევრო შენატანების სისტემა. ვარაუდობდი, რომ რაც უფრო იზრდება პარტიის ფინანსურ რესურსებში საწევრო შენატანებისა და კერძო შემოწირულობების ხვედრითი წილი, მით მეტ ელექტორალურ წარმატებას აღწევს პარტია მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა, რადგან პარტიების შემოსავლებში კერძო შემოწირულობის ხვედრითი წილის ზრდა მართლაც ხელს უწყობს პარტიის ელექტორალურ წარმატებას, თუმცა საწევრო შენატანები ქართული პარტიების ელექტორალურ წარმატებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ფაქტია, რომ ყველა ის პარტია, რომელმაც 2008-2020 წლებში მოიპოვა საპარლამენტო მანდატი, არ იყო მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებული და იღებდა კერძო შემოწირულობას, ხოლო საკვლევი პერიოდის ოთხივე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის კერძო შემოწირულობები ხშირად 50%-ით და მეტით აღემატებოდა ყველა სხვა პოლიტიკური პარტიის შემოსავალს, რაც ადასტურებს კერძო შემოწირულობასა და პარტიის ელექტორალურ წარმატებას შორის არსებულ კორელაციას. ამასთან, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო წელს პარტიების შემოსავლებში იზრდება კერძო

შემოწირულობები, თუმცა არჩევნებს შორის პერიოდში პარტიები კვლავ სახელმწიფოზე დამოკიდებულები ხდებიან.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში დადასტურდა პარტიის ძალაუფლების საზღვრებსა (სამთავრობო/ ოპოზიციური პარტიები) და კერძო შემოსავლებს შორის კავშირი -სახელისუფლებო პარტიები უფრო მეტ კერძო შემოწირულობას იღებენ, ხოლო ოპოზიციური პარტიები მეტად არიან დამოკიდებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე, რადგან კერძო სექტორი ერიდება ოპოზიციის დაფინანსებას. ამასთან, ვერ დადასტურდა ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ მიკუთვნებულობასა და საარჩევნო წარმატებას შორის ურთიერთმიმართება. მოსალოდნელი იყო, რომ მემარცხენე პარტიები მეტად იქნებოდნენ სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებული, ხოლო მემარჯვენე პარტიები პირიქით კერძო შემოწირულობებზე, რაც მათ წარმატებას განაპირობებდა თუმცა ამ ორი ჯგუფის შემოსავლებში სახელმწიფო დაფინანსების, კერძო შემოწირულობისა და საწევრო შენატანების ხვედრითი წილი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. რაც შეეხება პარტიული ორგანიზაციის არსებობის ხანგრძლივობასა და მათ საარჩევნო წარმატებას შორის კავშირს ამ შემთხვევაშიც საარჩევნო წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი კერძო შემოწირულობებეი გახდა.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ პარტიულ სპექტრში არსებული ფინანსური არასტაბილურობის შესახებ მსჯელობას პარტიების ინსტიტუციური მდგრადობის პრობლემამდე მივყავართ. მიუხედავად მზარდი სახელმწიფო დაფინანსების პარტიებს არ აქვთ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული მექანიზმები და ამჟღავნებენ ლიდერზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხს, არ აქვთ მდგრადი და თანმიმდევრული იდეოლოგიური ღირებულებები და ვერ უზრუნველყოფენ ამომრჩევლისთვის თანმიმდევრული, საგნობრივი პოლიტიკის შეთავაზებას, არ აქვთ ფინანსური შემოსავლების ალტერნატიული წყაროები, რაც კავშირშია პარტიების ბიუროკრატიულ სისუსტესთან და სახელმწიფო რესურსებზე დამოკიდებულების პირობებში პარტიებს არ აქვთ მძლავრი პარტიული ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების სათანადო მოტივაცია, რაც საარჩევნო წარმატების მიღწევის კუთხით თანამედროვე ქართული პარტიული სპექტრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

მაცაბერიძე, მ. (2019). *საქართველოს პოლიტიკური სისტემა.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნოდია, გ., & სქოლტბახი, ა. პ. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი : პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

საქართველოს პარლამენტი. (2020). *განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.* Retrieved from www.info.parliament.ge: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/261613 ბოლო ნახვა: 16.05.2022

საქართველოს პარლამენტი. (2020). *საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.* Retrieved from www.matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/document/view/5071216?publication=0 ბოლო ნახვა: 16.05.2022

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. (2020). *პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო სუბიექტების საბიუჯეტო დაფინანსება.* Retrieved from www.funding.cec.gov.ge: https://funding.cec.gov.ge/?search=1 ბოლო ნახვა: 16.05.2022

ქობალია, ი. (2020). პარტიების მიერ ინტერესების გაერთიანება და პოლიტიკის შექმნა (ქართული პარტიული პოლიტიკის ბოლო ათწლეული). In ზ. ბარქაია, ბ. კვაშილავა, ნ. გოგოლაძე, ი. ქობალია, & ი. ჩხიკვაძე, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი* (pp. 107-132). თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი.

ჩიხლაძე, გ., კახიძე, თ., & ნატროშვილი, ლ. (2021). *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2020 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა (საბოლოო ანგარიში).* თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.

ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2012). *2012 წლის საპარალმენტო არჩევნების შედეგები.* Retrieved from www.cesko.ge: https://cesko.ge/geo/elections/2012 ბოლო ნახვა: 16.05.2022

ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2016). *2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები.* Retrieved from www.cesko.ge: https://cesko.ge/geo/elections/2016 ბოლო ნახვა: 16.05.2022

Biezen, I. V., & Kopecký, P. (2007). The State and the Parties: Public Funding, Public Regulation and Rent-Seeking in Contemporary Democracies. *Party Politics, 13*(2), 235–254.

Biezen, I. V., & Kopecky, P. (2017). The Paradox of Party Funding: The Limited Impact of State Subsidies on Party Membership. In S. E. Scarrow, P. D. Webb, & T. Poguntke, *Organizing Political Parties* (pp. 84-105). Oxford: Oxford University Press.

Biezen, v. I. (2003). *Political Parties in New Democracies: Party Organization in Southern and East-Central Europe.* Basingstoke: Palgrave Macmillan.

Billis, D. (2010). Hybrid Organizations and the Third Sector: Challenges for Practice, Theory and Policy. *Journal of Social Policy, 5*(2), 395-401.

Birnir, J. K. (2005). Public Venture Capital and Party Institutionalization. *Comparative Political Studies, 38*(8), 915-938.

Bolleyer, N. (2020). State funding pressure in interest groups, political parties and service-oriented membership organisations. *West European Politics*, 1-27.

Bolleyer, N., & Correa, P. (2020). Self-maintenance vs. goal attainment: drivers of mortality anxiety in organized civil society. *European Political Science Review, 12*(3), 277-288.

Chedia, b. (2016). Georgia: Political Parties in a Country in Transition. *Central Asia and the Caucasus,, 17*(4), 27-34.

Dundua, S., Amashukeli, T., & Tabatadze, S. (2022). What Makes Social Movements Successful: The Case of Gudiashvili Square. *Europe-Asia Studies*, 1-20.

Emerson, R. M. (1962). Power-Dependence Relations. *American Sociological Review, 27*(1), 31-41.

Gigauri, N. (2022). Diversification of finances and challenges of intra-party democracy in the Contemporary Georgian Political party spectrum. *Politics/პოლიტიკა, 6*(2).

Hofnung, M. (1996). Public financing, party membership and internal party competition. *European Journal of Political Research, 29*(1), 73-86.

Katz, R. S. (1996). Party organizations and finance. In L. LeDuc, R. G. Niemi, & P. Norris, *Comparing Democracies: Elections and Voting in Global Perspective* (pp. 107-133). London: Sage.

Katz, R. S., & Mair, P. (1995). Changing Models of Party Organization and Party Democracy: The Emergence of the Cartel Party. *Party Politics, 1*(1), 5-28.

Nassmacher, K. H. (2006). Regulation of Party Finance. In R. S. Katz, & W. Crotty, *Handbook of Party Politics* (pp. 446-456). London: SAGE Publications.

Pierre, J., Svasand, L., & Widfeldt, A. (2000). State subsidies to political parties: Confronting rhetoric with reality. *West European Politics, 23*(3), 1-24.

Sartori, G. (2015). *Parties and Party Systems: A Framework for Analysis.* Colchester: ECPR Press.

Scarrow, S. E., Webb, P. D., & Poguntke, T. (2017). *Organizing Political Parties: Representation, Participation, and Power.* Oxford: Oxford university press.

Tabatadze, S. (2022). Party-Based Euroscepticism: The Case of Georgia. *Demokratizatsiya: The Journal of Post-Soviet Democratization*, 239-260.

Tabatadze, S., & Dundua, S. Mainstreaming the right-wing radicalism and extremism: basic approaches and perceptions from Georgian academia. *Review of Nationalities, 11*(1), 15-29.

Toka, G. (1997). Political Parties And Democratic Consolidation In East Central Europe. *Studies in Public Policy*(279).

Venice Commission-OSCE/ODIHR. (2021). *Georgia - Joint Opinion of the Venice Commission and the OSCE/ODIHR on amendments to the Election Code, the Law on Political Associations of Citizens and the Rules of Procedure of the Parliament*. Retrieved from www.venice.coe.int: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2021)008-e&fbclid=IwAR3Y2EoGWbu2PI8tH_S8JkB1pZVB0oudKBYdz--fuEFStNfRwX39wNYvuig ბოლო ნახვა: 16.05.2022

დანართი 1 - ექსპერტთა გამოკითხვა:

1. ინტერვიუ ექსპერტთან N1 - პოლიტოლოგი

2. ინტერვიუ ექსპერტთან N2 - პოლიტოლოგი

3. ინტერვიუ ექსპერტთან N3 - პარტიული პოლიტიკის მკვლევარი

4. ინტერვიუ ექსპერტთან N4 - პარტიული შემოსავლების ანალიტიკოსი

5. ინტერვიუ ექსპერტთან N5 - პარტიული პოლიტიკის მკვლევარი

ექსპერტთა გამოკითხვის ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი

1.თქვენი აზრით, რა არის სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მთავარი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები?

2.როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუწყო ხელი საბიუჯეტო დაფინანსებამ ქართული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციურ მდგრადობას?

3.თქვენი აზრით, რამდენადაა კერძო შემომწირველების არსებობა პარტიისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი ელექტორალური წარმატების მიღწევისთვის?

4.თქვენი აზრით, რამდენად არის დამკვიდრებული შიდაპარტიული გადაგავლებინებს მიღების დემოკრატიული მექანიზმები თანამედროვე ქართულ პარტიებში?

5.როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებენ რიგითი წევრები პარტიული ორგანიზაციის ფუნქციონირებაში?

6.თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი საქართველოში საწევრო შენატანების კულტურის დამკვიდრებას?

7.თქვენი აზრით, რატომ ვერ ჩამოყალიბდა თანამედროვე საქართველოში იდეოლოგიურად მდგრადი პოლიტიკური პარტიები?

8.როგორ ფიქრობთ, თანამედროვე საქართველოში რამდენად მნიშვნელოვანია პარტიული ორგანიზაციის დეცენტრალიზაცია?

9.თქვენი აზრით, რამდენად ახდენს პარტიის შემოსავლებზე გავლენას მისი სტატუსი (ოპოზიციური/სამთავრობო) და რატომ? ვის უფრო მეტად აფინანსებს კერძო ბიზნესი?

10.რას დაამატებდით?